ხელშეკრულება მიწის ქირავნობის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2015 წლის 10 მარტს (შემდგომში "ხელმოწერის დღე") შემდეგ მხარეებს შორის:

ერთის მხრივ შპს 'ოდისია პრომოუშენ' (ს/კ 445394966), წარმოდგენილი მისი დირექტორის როინ ლამპარაძის მიერ, შემდგომში 'დამქირავებელი' და მეორეს მხრივ შპს 'ბიოსფერო +' (ს/კ: 2062095123) ,წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან დევდარიანის მიერ, ('შემდგომში 'გამქირავებელი')

1. ხელშეკრულების საგანი

დამქირავებელი ქირაობს გამქირავებლის საკუთრებაში არსებულ მიწის ფართს (1.5 კგ.მ.) სარეკლამო ფარის განთავსებისათვის შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. მარჯვენა მხარეს (ნაკვეთი №25/38).

2. ქირავნობის გადასახდელი

2.1. მიწის ქირავნობის საფასურს შეადგენს 100 აშშ დოლარს თვეში, გადახდის დღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით ლარში.
2.2. მიწის ქირავნობის გადასახადის გადახდა განხორციელდება ყოველი კალენდარული თვის 10 რიცხვში.

3. დამქირავებლის ვალდებულებები

3.1.დაიცვას უსაფრთხოების ზომები სარეკლამო ფარის განთავსებისას
3.2.გადაიხადოს მიწის იჯარის გადასახადი დროულად
3.3. არ განახორციელოს ისეთი ქმედებები რაც ხელს შეუშლის 'გამქირავებლის' ეკონომიკურ საქმიანობას.

4. გამქირავებლის ვალდებულებები

4.1. ხელი შეუწყოს 'დამქირავებელს' განათავსოს სარეკლამო ფარი
4.2. ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში, შეატყობინოს გამქირავებელს 6 (ექვსი) თვით ადრე. გარდა ამისა, 'დამქირავებელს' უნდა მისცეს შესაძლებლობა სრულად დაასრულოს მესამე მხარესთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადა.

5. ხელშეკრულების ვადა

5.1. მოცემული ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან 11 (თერთმეტი) თვის განმავლობაში.
5.2. ხელშეკრულების დასრულებამდე 3 (სამი) თვით ადრე მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების პირობებზე განმეორებით.

6. სხვაპირობები

6.1. ეს ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამ) თანაბარ ეგზემპლარად ქართულენაზე.

6.2. ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება ფორმდება წერილობით იფორმით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7. რეკვიზიტები

დამქირავებელი	გამქირავებელი
შპს ოდისია პრომოუშენ	შპს ბიოსფერო +
მის.: ქ. თბილისი, გამრეკელის 2, აქსისის ბიზნეს ცენტრი, მე-3 სართული	მის.: თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. მარჯვენა მხარეს (ნაკვეთი №25/38)
ტელ.: 272 83 14, Email: info@odissiapromotion.ge	ტელ.: 224 25 90
დირექტორი: როინ ლამპარაძე	დირექტორი: ლევან დევდარიანი